შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№9 (10.114)

30 მარტი - 6 აპრილი, 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

32 წლის შემდეგ მშობლიურ მიწაზე

28 მარტს თბილისში, დიღმის ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს 24 წლის გოჩა პაპაჩაშვილის ნეშტი. ის აფხაზეთში 1992 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მისი პოვნა და შემდეგ იდენტიფიცირება კი სულ ახლახან, გაგრის რაიონის სოფელ მახადირში მოხერხდა. სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით, ქართველებისა და აფხაზების მონაწილეობით, საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში, ამჯერად 10 სამხედრო და 2 მშვიდობიანი მოქალაქის გადმოსვენება და ოჯახებისთვის დაბრუნება მოხერხდა. 5 მებრძოლი, მათ შორის გოჩა პაპაჩაშვილი დიღმის ძმათა სასაფლაოზე, სხვა იდენტიფიცირებულები კი, ოჯახების გადაწყვეტილებით, სხვადასხვა ადგილას, მათ შორის საგვარეულო სასაფლაოებზე სამხედრო პატივით დაკრძალეს.

სამების საკათედრო ტაძარში პანაშვიდზე იმყოფებოდნენ პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, თავდაცვის მინისტრი და შერიგებისა და

სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი, მთავრობის სხვა წევრები.

გმირისთვის პატივის მისაგებად თბილისში იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროდანაც. დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, სოფელ ზემო მაჩხაანის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში ვანო ნატროშვილი, მერის რწმუნებული ზემო მაჩხაანში გიორგი იაკობიშვილი, სოფლის მოძღვარი, დეკანოზი გიორგი ჯინაშვილი და სოფლის სხვა მაცხოვრებლები.

ობლად გაზრდილ ზემო მაჩხაანელ 24 წლის გოჩა პაპაჩაშვილს აფხაზეთის ომში წასვლა არ ეკუთვნოდა, რადგან დედისა და უმცროსი დისთვის ერთადერთ მარჩენალად ითვლებოდა, ამიტომაც არ გაუწვევიათ. თუმცა, რადგან კონფლიქტი არ ცხრებოდა, ომში საკუთარი ნებით, მოხალისედ წავიდა.

თალიკო პაპაჩაშვილი *(დედა)*: „დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას, რომ ამდენი წლის შემდეგ შვილი დამიბრუნეს. აფხაზეთიდან დეპეშებს მიგზავნიდა, კოლხიდაში, გაგრაში ვდგავარო. გოჩა 1968 წლის 10 ივნისს დაიბადა. ცელქი ბავშვი იყო. სკოლაც ძალიან უყვარდა, მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდა. მისი კლასის დამრიგებელი ნეჟნა ჩუბინიძე ძალიან უყვარდა. უზომოდ კეთილი იყო, სახლიდან გაიტანდა და სხვას მისცემდა. მისი ტანსაცმელიც მუდმივად მეგობრებს ეცვა. უმამოდ იზრდებოდა, მუდმივად ცდილობდა ოჯახის ბურჯი ყოფილიყო და გვერდში ამოგვდგომოდა. ომი რომ არ დაწყებულიყო, დაოჯახებას აპირებდა. გოჩა 8 წლის იყო, ანა 7-ის, როცა მეუღლე ექიმების დაუდევრობის გამო გარდამეცვალა და ბავშვებს ობლად ვზრდიდი. ამიტომ, გოჩა როგორც ოჯახის მარჩენალი, ომში არ გაიწვიეს. თვეები რომ გადიოდა და ვითარება უფრო იძაბებოდა, ვერ ისვენებდა, გადაწყვიტა მოხალისედ წასულიყო. რაიონში წავიდა, კომისარს შეხვდა, მოხალისეთა რიგებში ჩაეწერა. ვეწინააღმდეგებოდით, მაგრამ სულით ხორცამდე სამშობლოს პატრიოტი იყო, აიჩემა, უნდა წავიდეო. ტელევიზიით ომის კადრებს რომ უყურებდა, ამბობდა, მე თუ არ წავალ, და ყველა ასე იფიქრებს, მტერს ვიღა მიხედავსო. არ დამემშვიდობა, ისე გაიპარა ომში. აფხაზეთში რომ წავიდა, 101-ე ბატალიონში გაწევრიანდა. ომიდან წერილებს გვიგზავნიდა, ცოცხალი ვარ, არ ინერვიულოთო. 1992 წლის 2 ოქტომბერს, გაგრა რომ დაეცა, მას შემდეგ წერილებიც შეწყდა და გოჩას კვალიც დაიკარგა, აღარაფერი ისმოდა. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ სადმე მიგვეგნო, მაგრამ ამ დრომდე არაფერი ვიცოდით.

ერთხელ, წლების შემდეგ, სოფლის წისქვილში ხორბალი მივიტანე. დედოფლისწყაროელი ბიჭი გამომელაპარაკა, გოჩას ოცმეთაური მე ვიყავი, ერთად ვიბრძოდითო. ბოლო დღე გაიხსენა, ირგვლივ ყველაფერი ცეცხლის ალში გაეხვა, ცოცხალი აღარავინ იყოო. დაჭრილი ვეგდე და უცებ გოჩა დამეცა, მე გადაგარჩენო. სამი დღე და ღამე მატარა, ტყეში ჩეჩნები და აფხაზები შეგვხვდნენ და „ვაი დედაო“ თქვა. გონება დავკარგე და აღარაფერი მახსოვს, აზრზე რომ მოვედი, ტყვედ ვიყავიო. ვეძებდი, კვალი ლესელიძემდე მივიდა და მერე ვეღარაფერი გავიგეო.

ანა პაპაჩაშვილი *(გოჩას და)*: „ჩვენმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო, ყველას მადლობას ვუხდი ჩემი ძმის დაფასებისთვის. განსაკუთრებით თქვენი გაზეთის რედაქციას, რომელიც ექსკლუზიურად აშუქებდა ჩვენს ამბავს და ყოველთვის ყურადღებას გამოხატავდა. დაკრძალვაზე მთელი სოფელი ჩამოსული იყო და გაკვირვებული დავრჩი. ვეღოდი, რომ სოფლიდან ჩამოვიდოდნენ, მაგრამ ამხელა მხარდაჭერა მოულოდნელი იყო. ჩემი ემოციები უჩვეულოა, თან ვწუხვარ, თან ბედნიერი ვარ. ვწუხვარ იმის გამო, რომ ერთი იმედის ნაპერწკალი გვქონდა და ისიც ჩაგვიქრა, ხოლო ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ძმა გმირულად დაიმარხა და მისი სახელი სამარადისოდ ცოცხალი იქნება.

/დასასრული მე-8 გვ./

C M Y K

ჯანდაცვის საკითხებზე იმსჯელეს

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი მამუკა მაჭავარიანი ცენტრის სპეციალისტებთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას ეწვია და მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში საუბარი შეეხო დედოფლისწყაროს მრავალპროფილური საავადმყოფოს განვითარების და არსებული სამედიცინო რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებს.

დასაქმების პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე 30 ათასამდე სოციალურად დაუცველია დასაქმებული

ამ დროისთვის, დასაქმების პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე 30 ათასამდე სოციალურად დაუცველია დასაქმებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დასაქმების სააგენტოში განუცხადეს, პროგრამის დაწყებიდან დღემდე სამუშაო პროგრამას სხვადასხვა მიზეზით 7 079 პირი გამოეთიშა.

„2024 წლის 21 მარტის მდგომარეობით, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია 30 000-მდე სოციალურად დაუცველი პირი. პროგრამაში ჩართვის ინტერესი საკმაოდ მაღალია. დასაქმების სააგენტო, დასაქმების მსურველ სოციალურად დაუცველ პირებს როგორც საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებას, ისე ღია შრომის ბაზარზე არსებულ ვაკანსიებზე სთავაზობს. გარდა ამისა სხვა ვაკანსიებზე - ღია შრომის ბაზარზე დასაქმებულია სოციალურად დაუცველი 20 000-ზე მეტი მოქალაქე. პროგრამის დაწყებიდან დღემდე სამუშაო პროგრამას სხვადასხვა მიზეზით გამოეთიშა 7 079 პირი.

საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია და განსაზღვრულია მინისტრის ბრძანებით“,- აცხადებენ დასაქმების სააგენტოში.

ცნობისთვის, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა 2022 წლის 1-ელ მარტს დაიწყო.

ბაბუშერას აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიებიდან ოჯახებს გაასახლებენ

ოკუპირებულ აფხაზეთში, სოხუმთან მდებარე ბაბუშერას აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ ოჯახებს გაასახლებენ. ამის შესახებ „აფხაზური პორტალი“ წერს.

სეპარატისტული რეგიონის ე.წ. ენერგეტიკის მინისტრმა 26 მარტს ადგილობრივებთან, რომლებიც წლებია ამ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, შეხვედრა გამართა.

აღნიშნულ ზონაში მცხოვრებთა ნაწილი საოკუპაციო რეჟიმის გადაწყვეტილებას, მათ გადასახლებასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება.

„შეიძლება ვინმე დათანხმდეს გადასახლებას, მაგრამ ამას ყველა არ ვეთანხმებით, კომპენსაციის გადახდის შემთხვევაშიც კი“, — აღნიშნეს შეხვედრის მონაწილეებმა.

ე.წ. რუსულ-აფხაზური შეთანხმების თანახმად, ბაბუშერას აეროპორტის აღდგენისთვის სეპარატისტებმა უნდა „ამოიღონ უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთები მესამე პირებისგან, რათა რუსულმა კომპანიამ საინვესტიციო პროექტის განხორციელება შეძლოს“.

მანამდე რუსეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ დმიტრი ვოლვაჩმა განაცხადა, რომ პროექტის საინვესტიციო ღირებულება 12 მლრდ რუბლს (350 მლნ ლარი) შეადგენს. მისივე თქმით, რუსეთიდან სოხუმის მიმართულებით პირველი საცდელი რეისის შესრულება 2024 წელს იგეგმება.

2023 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროექტს რუსეთის შს ყოფილი მინისტრის რაშიდ ნურგალიევის შვილის კომპანია განახორციელებს. ნურგალიევი ამჟამად რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილეა.

„კლიმატის ცვლილება არ არის საზოგადოების ცალკეული ნაწილის გამოწვევა, ეს საყოველთაო პრობლემაა და მასთან გამკლავება ერთიან ძალისხმევას საჭიროებს“

28 მარტს, USAID-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონული წყლის მართვის პროგრამამ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს „მერების შეთანხმების“ აღმოსავლეთის ოფისთან პარტნიორობით, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ „მერების შეთანხმების“ ხელმომწერ თვითმმართველობების წარმომადგენლებს უმასპინძლა.

ორგანიზატორების ინფორმაციით, ღონისძიებაზე, რომელსაც საქართველოს 32 მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი დაესწრო, მუნიციპალური წყლის რესურსების მართვას, წყლის უსაფრთხოებასა და წყალთან დაკავშირებულ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საკითხებიგანიხილეს.

ღონისძიების მიზანია, ხელი შეეწყოს დიალოგს,წყლის რესურსების მართვის შესახებ, საქართველოს ახლად მიღებული კანონის გავლენებს ურბანული წყლის რესურსების მდგრად მართვაში. მონაწილეებმა გაიღრმავონ და გააზიარონ არსებული ცოდნა წყლის უსაფრთხოებასა და წყლის რესურსების მდგარდი მართვის მნიშვნელობაზე კლიმატისადმი მედეგი ადგილობრივი განვითარების კონტექსტში და იმსჯელონ კლიმატის ცვლილების პირობებში წყლის რესურსების მდგრად მართვაში ადმინისტრაციული ერთეულების კონკრეტულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, **ნიკოლოზ ჯანიაშვილის** განცხადებით, მომხსენებლებმა მონაწილეებთან ისაუბრეს წყლის რესურსებისა და გარემოს მართვაზე მუნიციპალიტეტებში, მდინარის სააუზო მართვის მიდგომებზე, მუნიციპალიტეტებში ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებასა და წყლის უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე ბუნებრივ გადაწყვეტილებებზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით.

***

საქართველოში შემუშავდა ახალი კანონპროექტი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“, რომელიც უმნიშვნელოვანეს და კომპლექსურ საკანონმდებლო ცვლილებებს მოიცავს. კანონპროექტის განხორციელების შედეგად, ქვეყანაში წყლის რესურსების მართვის ახალი, ერთიანი, საერთაშორისო მიდგომებზე

დაფუძნებული სისტემა შეიქმნება, რითაც დაკმაყოფილდება ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, ჩამოყალიბდება სააუზო მართვის სისტემა და მოხდება წყლის მოხმარების ეკონომიკური ინსტრუმენტების შემოღება, რაც წყლის რესურსების მონიტორინგის ქსელის გაფართოებას და წყლის დაბინძურების პრევენციის ზომების წარდგენასაც მოიაზრებს.

წყლის რესურსების მართვის ახალი კანონპროექტი ჩაანაცვლებს ძველ „კანონს წყლის შესახებ“. ეს უკანასკნელი 1997 წელს ამოქმედდა, თუმცა ცხადი და თანმიმდევრული სტრატეგიით არ განხორციელებულა და, შედეგად, ქვეყანაში მოქმედებდა „გამოუსადეგარი და დანაწევრებული სისტემა“ (UNECE). მაგალითად, ძველი საკანონმდებლო ჩარჩო ვერ არეგულირებდა წყლის ობიექტებთან დაკავშირებულ საკუთრების, მფლობელობისა და გამოყენების უფლებებს, ვერ უზრუნველყოფდა როგორც ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ისე წყლის დაბინძურების პრევენციას. გარდა ამისა, ძველი კანონის ფარგლებში წყლის რესურსების მართვისას, ქვეყანაში იკარგება დიდი მოცულობით წყალი, რაც, შესაბამისად უარყოფით გავლენას ახდენს ბუნებრივ რესურსებზე.

ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების ფონზე, წყლის რესურსების მართვის ახალი კანონპროექტის მიმართ დიდი მოლოდინი გაჩნდა, თუმცა არსებული რეფორმა არ არის სრულყოფილად ამოქმედებული, ამიტომ აღნიშნული მოლოდინის შეფასება ჯერჯერობით შეუძლებელია, მიუხედავად ამისა, კანონპროექტთან დაკავშირებული რამდენიმე კრიტიკული ინდიკატორის გაანალიზების საფუძველზე წინამდებარე ბლოგი შეეცდება აღნიშნული ხარვეზებისა და სავარაუდო შედეგების მიმოხილვას.

ახალი სააუზო სისტემა და წყლის დაბინძურების პრევენცია

წყლის რესურსებიის ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს მდინარეთა საუზო მართვის გეგმის (RBMP) შემუშავებას თითოეული აუზისთვის, რომლებიც დადგენილების მიხედვით ყოველ 6 წელში უნდა განახლდეს და მათი მართვის გეგმები უნდა შემუშავდეს ისე, რომ დააბალანსოს წყლის მომხმარებელთა ინტერესები და თანადროულად უზრუნველყოს წყლის ეკოლოგიური სტატუსის შენარჩუნება. როგორც ცვლილებების ინიციატორი უწყება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აღნიშნავს: „დღეისათვის წყლის რესურსების მართვა ხდება ცენტრალიზებულად და არა ამა თუ იმ წყლის ობიექტის გეოგრაფიულ საზღვრებში — მდინარის აუზის/სააუზო უბნის დონეზე, რაც შეუძლებელს ხდის წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას. ალტერნატივას წარმოადგენს სააუზო მართვის მოდელი, რომელიც გულისხმობს ინტეგრირებულ მიდგომას და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს წყლის რესურსების მდგრად გამოყენებას“.

კანონპროექტი ითვალისწინებს თითოეული მდინარის აუზისთვის წყლის პრიორიტეტიზაციის გეგმის შემუშავებას, რათა შეიქმნას ახალი პრიორიტეტიზაციის წესები წყლის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლებიც გამოასწორებს ძველ კანონში არსებულ ხარვეზებს და შესაძლებელს გახდის როგორც სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორს შორის კონფლიქტის თავიდან აცილებას, ისე უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის სუფთა სასმელი წყლით მომარაგებას.

ახალი გეგმის მიხედვით, კლიმატის ცვლილებების შერბილების კუთხით ღონისძიებები 7 სექტორში გაიწერა. ესენია: ენერგეტიკის გენერაცია და გადაცემა, ტრანსპორტი, შენობები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა და სატყეო მეურნეობა. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე აღნიშნავს, ორწლიანი გეგმა საშუალებას იძლევა ემისიების დონე 10-12 %-ით დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდეს. პროექტის საერთო ბიუჯეტი 3 მილიარდ ლარზე მეტია.

თამარ დავითური — საპატიო მოქალაქე

55 წელია ექიმი თამარ დავითური სოფელ არხილოსკალოს ამბულატორიაში ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნავს. გასულ წელს „დედოფლისწყაროობის“ დღესასწაულზე გამართულ გალა-კონცერტზე მას დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. ღვაწლმოსილი ექიმი ამბობს, რომ ამ სტატუსმა მისი პასუხისმგებლობის განცდა კიდევ უფრო გაზარდა და თავი დაფასებულად აგრძნობინა. 82 წლის ქალბატონი ასაკთან შედარებით შესანიშნავად გამოიყურება, ამას კი აქტიური ცხოვრების შედეგს უწოდებს.

თამარ დავითური: „ობლად გავიზარდე, მამა არ მახსოვს. 1942 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს დავიბადე. მშობლების ქორწინებიდან 5-6 თვეში მამაჩემი ომში გაიწვიეს, მისი წასვლიდან რამდენიმე თვეში გავჩნდი. თურმე დედაჩემი წერილებს იღებდა, იქნებ ცოცხალი ვერ დავბრუნდე და შვილი მაინც მაჩვენეო. ახლადგაწვეულები ჯერ ისევ ცხინვალში ჰყავდათ, წვრთნებს უტარებდნენ. დედაჩემმა ახალშობილი ჩვილი მატარა ხან ავტობუსით, ხან მატარებლით... ჯერ წნორში, შემდეგ თბილისში, იქიდან ცხინვალში ჩამიყვანა და ეს იყო მამაჩემთან ჩემი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა. დედაჩემს დაუჩივლია, რთული გზა გამოვიარეთო, მაგრამ მამაჩემს გაუჭუმებია, ერთხელ მაინც ხომ უნდა მენახაო. შემდეგ დაჭრილი იყო და ბაქოდან მივიღეთ წერილი, ხელში მსუბუქად დაჭრილი ბაქოს საავადმყოფოში იწვა. აქედან გამწერენ და ფრონტზე მივყავართო, ეს მისი ბოლო წერილი იყო. მას მერე აღარ გამოჩენილა. მერე კომისარიატში შეტყობინებაც მოვიდა, რომ დაკარგულად ითვლებოდა. დედაჩემი აღარც დაოჯახებულა, ასე მარტო გამზარდა. დედამთილ-მამამთილთან ერთად ცხოვრობდა და ისინიც ეხმარებოდნენ.

— ***პროფესიული არჩევანი როგორ გააკეთეთ და რამ იქონია გავლენა?***

— თსსუ სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი 1968 წელს დავამთავრე და იმავე წელს დავბრუნდი წითელწყაროში. ჩემს სოფელში ადგილი არ იყო და ოთხი თვე მომთაბარე ექიმად ვმუშაობდი, ყველა სოფელში არსებული ფერმის პერსონალი მებარა. შემდეგ არხილოსკალოს რუსი ექიმი წავიდა, ადგილი გათავისუფლდა და მას მერე მე ვარ. ვერ გეტყვით პროფესიის არჩევაზე გავლენა რამ მოახდინა. ქიმია მომწონდა, რატომღაც ძალიან მხიბლავდა პრაქტიკული სამუშაოები, ფორმულებს ვწერდი და რეაქციებს ვაკვირდებოდი. ქიმიის მასწავლებლობაც მინდოდა, რადგან ყველა მასწავლებელი მიყვარდა. მაშინ მასწავლებლები სოფლებში უბანუბან დადიოდნენ და სასკოლო ასაკის ბავშვებს ეძებდნენ. არავის მივუყვანივარ, ჩემით წავედი სკოლაში, დღემდე ცხადად მახსოვს პირველი სექტემბერი, ჩემი და მასწავლებლის ჩაცმულობა. სხვათაშორის, სკოლაშიც კარგად ვსწავლობდი. დედაჩემი სოფლის საავადმყოფოში სანიტრად მუშაობდა, ექიმი არ იყო, მაგრამ სახლში სულ პაციენტებზე და მათ მდგომარეობაზე რომ საუბრობდა, ალბათ ეს ჩამებეჭდა გონებაში და აქედან დავიწყე ამ პროფესიაზე ფიქრი, თორემ ჩემს დროს სკოლაში მასწავლებლები პროფესიების შესახებ არ გვესაუბრებოდნენ. 1949 წელს არხილოსკალოს ცენტრში გაიხსნა საავადმყოფო და მას მერე დედა იქ მუშაობდა. ინსტიტუტში ჩასაბარებლად სამუშაო სტაჟს ითხოვდნენ, ამიტომ ორი წელი კოლმეურნეობაში ვმუშაობდი თივის აგროვებაზე, სილოსის დამზადებაზე, ღორების მომვლელად. სამუშაო სტაჟის მოგროვების შემდეგ რაიონიდან მოთხოვნა წავიღე, რომ არხილოში ექიმი არ იყო და ჩავირიცხე უმაღლეს სასწავლებელში. დედაჩემიც მირჩევდა ამ გზას გავყოლოდი.

— ***რა თვისებებს მოითხოვს ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე ყოფნა?***

— რასაც არ უნდა აკეთებდე, შენი საქმე უნდა გიყვარდეს. ზოგადად, საქმის ღალატი არ მჩვევია, ასეთი ხასიათი და ყველაფრის მიმართ ეს დამოკიდებულება მაქვს. საოცარი ერთგულება ვიცი, პაციენტთან მითუმეტეს. თუ პაციენტი არ გიყვარს, არც უნდა გაბედო სამედიცინო სფეროზე ფიქრი. კეთილი უნდა იყო და ავადმყოფზე ყველა ვითარებაში იზრუნო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არცერთი წუთით არ მიღალატია ჩემი პროფესიისა და პაციენტებისთვის. ერთგულად ვემსახურე ამ საქმეს და ჩემს სოფელს. პირველ წლებში სოფელ სამთაწყაროსაც მე ვემსახურებოდი. მაშინ სამთაწყაროში ჯერ აჭარელი ეკომიგრანტები არ იყვნენ ჩამოსახლებულნი. მხოლოდ 70-მდე კომლი ცხოვრობდა, ძირითადად ინგილოები. ძველი სამთაწყარო შუაგულში მოექცა, აღმოსავლეთითა და დასავლეთით კი სახელმწიფომ ახალი სახლები ააშენა და აჭარლები ჩამოასახლა. 17 წელი სამთაწყაროელებს ვემსახურე.

— ***ამ გადასახედიდან რამდენად რთული იყო თქვენი პროფესიული გზა?***

— ძალიან რთული დრო იყო, არც სასწრაფო დახმარების სამსახური არსებობდა, არც მანქანა გვყავდა. ხელფასებიც მიზერულად დაბალი იყო, მაგრამ ამას ჩემი ენთუზიაზმისთვის ხელი არ შეუშლია. ხანდახან სატვირთო მანქანით წავიდოდი ხოლმე. ძირითადად კი ფეხით დავდიოდი დარსა თუ ავდარში, დიდ თოვლში... ფეხით ჩავიდოდით, ბავშვებს ავცრიდით და ისევ ფეხით ამოვდიოდით ამხელა აღმართზე. ერთხელ სამთაწყაროდან ღამით დარეკეს, მშობიარეაო. მოგეხსენებათ, არხილოსკალოდან სამთაწყაროში ჩასასვლელი გზა როგორი რთული რელიეფისაა. დიდი თოვლი იყო, აღარ ვიცოდი, როგორ წავსულიყავი. წინათ მკაცრი ზამთარი იცოდა, ახლა ასეთი თოვლი სადღაა... ტელეფონიც არ იყო, ხმის მიწვდენა ჭირდა. წყალკანალის ჯიხური იყო და მხოლოდ იქ ჰქონდათ ტელეფონი. ფოსტაში დაურეკავთ, ხმა ვერავის მივაწვდინეთ და ექიმი გვჭირდებაო. მაშინვე კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მიშა კობაიძესთან მივედი და მანქანა ვთხოვე. „კოლხოზნიკი“ მომცა, მაგრამ ქვემოთ რომ დავეშვით, გზა არსად ჩანდა და მძღოლი შიშობდა, არაფერი ჩანს და ვერ გავრისკავო. შუაღამე იქნებოდა, კობაიძემ ახლა ტრაქტორი გამოგვიგზავნა, რომელიც წინ გავუშვით, გზას ხვეტდა და უკან მივყვებოდით. ასე ჩავედით მშობიარესთან. რაიონიდან გამოვიძახე გინეკოლოგიც. რთულ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, მაგრამ პაციენტების დახმარებას მაინც ვახერხებდით.

— ***როგორ ფიქრობთ, დღეს რამდენად დაფასებულია სოფლის ექიმი?***

— კმაყოფილი ნამდვილად ვარ, რადგან მატერიალურ კეთილდღეობას არასოდეს ვაქცევდი ყურადღებას. ხელმოკლედ ვიზრდებოდი, ფუფუნებაში არასოდეს მიცხოვრია. პატივისცემას კი ყოველთვის ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ. ყველა ოჯახში თამამად შემიძლია მისვლა და ყველა პაციენტთან ღიმილით შევდივარ. გამიმართლა იმ მხრივ, რომ მთელი სოფლის სიყვარული დავიმსახურე. მეგონა, ეს იყო ჩემი ჯილდო, მაგრამ თურმე უფრო დიდი საჩუქარი რაიონისგან მელოდა. მანამდე მიმაჩნდა, რომ მხოლოდ სოფელი ხედავდა ჩემს შრომას, ახლა კი ჩანს, რომ მთელმა დედოფლისწყარომ დამაფასა. ჯილდოები მანამდეც ყოფილა, მაგრამ რა თქმა უნდა, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ დასახელება ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავს. ეს დიდ მოვალეობას მაკისრებს. უფრო დაფასებულად ვიგრძენი თავი, რადგან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ დამდო პატივი და ეს სტატუსი მომანიჭა. ყველა ჯილდო სასიამოვნოა, მაგრამ მიმაჩნია, რომ საპატიო მოქალაქეობა გაცილებით მეტს მოითხოს ჩემგან - ნდობის გამართლებას და პასუხისმგებლობას.

— ***ოჯახისა და შვილების შესახებ გვიამბეთ...***

— სოფელში დაბრუნებიდან 5 წლის შემდეგ, 1973 წელს დავოჯახდი. ოჯახი შევქმენი ქვემო ქედელ ზურაბ პაპუაშვილთან. ის მეღვინე იყო, ღვინის ქარხანაში მუშაობდა, მაგრამ იმის გამო, რომ მე არხილოსკალოში ვმუშაობდი და დედაც ასაკოვანი იყო, ქვემო ქედში საცხოვრებლად არ გადავსულვარ, პირიქით, მეუღლე გადმოვიდა ჩვენს სახლში. შემეძინა ორი ქალიშვილი, ორივე ექიმია და დედაქალაქში ცხოვრობს. ერთი შვილი გორის სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობს, ოჯახის ექიმია, მეორე თბილისში, ბოჭორიშვილის კლინიკაში, კარდიოლოგად და ექოსკოპისტად. ასევე შეთავსებით მცხეთის საავადმყოფოშიც მუშაობს. სამი შვილიშვილი მყავს, მერვე, მეშვიდე და მეოთხე კლასელები. 8 წელია, ჩემი მეუღლე ინფარქტით გარდაიცვალა, მას შემდეგ მარტო ვცხოვრობ და ყოფიერების სიმძიმეს მარტო ვუმკლავდები. კარგი მეუღლე მყავდა, პრობლემებს არასოდეს მიქმნიდა, კოლეგებისგან მესმოდა, რომ ღამით მეუღლეები არ უშვებდნენ პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად. მას კი ჩემთვის მსგავსი პრობლემა არასოდეს შეუქმნია.

— ***ამ ასაკში რთულია მარტოობა?***

— სიმართლე გითხრათ, თითქმის ვერ ვგრძნობ მარტოობას. სამ საათამდე ამბულატორიაში ვარ, სამსახურიდან რომ გავდივარ, უკვე ვიცი, რა უნდა ვაკეთო. გზაში გეგმებს ვაწყობ. ვენახი მაქვს, ძროხა, ღორები და ქათმები მყავს. ბოსტანს ვუვლი და 5 ჰექტარზე ხორბალი, 4-ზე კი ქერი მითესია და ეს ყველაფერი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შვილებისა და შვილიშვილებისთვისაა. უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლია, აქტიური ვარ და სხვებსაც ამისკენ მოვუწოდებ, რომ იაქტიურონ. ვისაც ჯანმრთელობა ხელს უწყობს და შრომა უყვარს, იმას ცხოვრება არ გაუჭირდება და თავის გატანას შეძლებს. სოფლის მაცხოვრებელი სოფლის მეურნეობას უნდა მოეკიდოს.

— ***მშვენივრად გამოიყურებით, ასაკი არ გეტყობათ, როგორ ახერხებთ ამას?***

— ჯანმრთელობას არ ვუჩივი, პერიოდულად მხოლოდ წნევა მაწუხებს. უსათვალოდ ვკითხულობ, 8 წელია სათვალე არ მიხმარია. კითხვა ძალიან მიყვარს, მაგრამ სამწუხაროდ, დრო აღარ მაქვს, რომ ვიკითხო, ძირითადად გაზეთს ვკითხულობ და უფრო სამედიცინო ლიტერატურას ვეცნობი. სამსახურში ფეხით დავდივარ. სიარული ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია აქტიური ცხოვრების წესი, მოძრაობა...

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

ცვლილებები სამხედრო გაწვევის სამსახურში

რეგიონებში სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურები მუნიციპალიტეტებს გამოეყო და მიმდინარე წლის იანვრიდან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. სამინისტრომ შექმნა სსიპ „სამხედრო აღრიცხვისა და რეკრუტირების ეროვნული ცენტრი“. სწორედ ამ ცენტრებში გაერთიანდა რაიონული სამსახურები, მათ შორის დედოფლისწყაროს განყოფილება.

ქვეყნის მასშტაბით ახალი კადრები კონკურსის შედეგად შეირჩნენ. იანვრის თვეში ვაკანსიები იყო გამოცხადებული დედოფლისწყაროშიც.

კონკურსის შედეგების თანახმად, „სამხედრო აღრიცხვისა და რეკრუტირების ეროვნული ცენტრის“ დედოფლისწყაროს განყოფილების ხელმძღვანელად ანა კიკილაშვილი დაინიშნა. მან ინფორმაცია დაადასტურა და სოციალურ ქსელში 28 თებერვალს თავადვე გამოაქვეყნა.

„დავასრულე ჩემი 5 წლიანი სამსახური მე-2 ქვეით ბრიგადაში და გადავინაცვლე სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული ცენტრის“ დედოფლისწყაროს მუნიციპალური განყოფილების ხელმძღვანელად. ისევ თავდაცვაში, ისევ ქვეყნის და ერის სამსახურში, ახალი შემართებით, გეგმებითა და მოტივაციით!“ — წერს ანა კიკილაშვილი.

დედოფლისწყაროს გაწვევის სამსახურის ყოფილი უფროსი მამუკა ალადაშვილი ამბობს, რომ რეორგანიზაციის შედეგად ის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილის პოზიციაზეა გადაყვანილი.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2023 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე გააუქმა ადგილობრივი სამხედრო გაწვევის სამსახური და ძალადაკარგულად გამოაცხადა მათ მიერვე გამოცემული დადგენილება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის — სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიული გამარჯვება

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა ისტორიაში პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური. ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალურ შეხვედრაში, რომელიც 26 მარტს თბილისში, „დინამო არენაზე“ გაიმართა, მან საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებს სძლია და გერმანიაში ევრო 2024-ის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მატჩის ძირითადი და სათადარიგო დრო ფრედ, 0:0 დასრულდა. თამაშის ბედი გადაწყვიტა პენალტების სერიამ, რომელშიც ქართველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს. თუმცა ამ გამარჯვებას წინ 30 წლიანი მოლოდინი უძღოდა. თუ რა ისტორიის მატარებელია ჩვენი ეროვნული ნაკრები, რა ემოციები დაეუფლათ და როგორ აფასებენ ჩვენი ფეხბურთელები მიღწეულ გამარჯვებას, სტატიაში შემოგთავაზებთ.

რა ვიცით ეროვნულ ნაკრებზე?

საქართველოს საერთაშორისო შეხვედრებსა თუ ტურნირებზე საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები წარმოადგენს. ნაკრების კონტროლს და ხელმძღვანელობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახორციელებს, რომელიც ფიფას და უეფას წევრია 1992 წლიდან. ეროვნული ნაკრები საშინაო შეხვედრებს თბილისში, ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონზე მასპინძლობს. საქართველოს ეროვნული ნაკრების საუკეთესო შედეგებია 1996 წლის ევროპის ჩემპიონატისა და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე დაკავებული მესამე ადგილები. ასევე, 2018-19 უეფას ერთა ლიგის მეოთხე D დივიზიონის პირველ ჯგუფში და 2022-23 უეფას ერთა ლიგის მესამე C დივიზიონის მეოთხე ჯგუფში დაკავებული პირველი ადგილები, რამაც ნაკრებს უეფას ევრო 2020-ის და ევრო 2024-ის შესარჩევი პლეი-ოფის საგზურები მოუპოვა. 2023 წლის 26 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ნაკრები ფიფას რეიტინგში 76-ე ადგილზეა.

ნაკრების ისტორია

საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორია 1990 წელს იწყება. მანამდე ქართველი ფეხბურთელები თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის ეროვნულ საფეხბურთო გუნდში. პირველი მატჩი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელებმა ლიეტუვასთან გამართეს, რადგანაც პირველად ლიეტუვა გამოეხმაურა ქართული მხარის მიწვევას. ეს მატჩი 1990 წლის 27 მაისს ეროვნულ სტადიონზე გაიმართა. მასპინძელთა ღირსებას იცავდნენ: ასლან ბალაძე, გელა კეტაშვილი, კახა ცხადაძე (71 კახაბერ კაჭარავა), დიმიტრი კუდინოვი, გია ფირცხალავა, გიორგი ნადირაძე, თემურ ქეცბაია, ზაზა რევიშვილი (46 მელორ ბიგვავა), ოთარ კორღალიძე (46 როსტომ თორღაშვილი), გია გურული, მამუკა ფანცულაია (46 გოჩა გოგრიჭიანი) (მწვრთნელი გივი ნოდია). შეხვედრა ფრედ - 2:2 დამთავრდა. ეს იყო დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამართული ერთადერთი მატჩი. შეხვედრას 55 000 მაყურებელი დაესწრო. ბალტიისპირელები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ ჯერ გია გურულმა გაათანაბრა ანგარიში, მერე კი კახა კაჭარავამ. საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი გოლი გია გურულმა გაიტანა. ნაკრების პირველი კაპიტანი ოლიმპიური ჩემპიონი გელა კეტაშვილი იყო. 1990 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჯერ კიდევ არ იყო ფიფას და უეფას წევრი, ამიტომ ლიეტუველებთან გამართული მატჩი ნაკრების ფიფას ჩამონათვალში არ ირიცხება.

ამის შემდეგ 1991 წლის 2 ივლისს, საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა გამართა მოლდოვასთან და ანგარიშით 4:2 გაიმარჯვა. 1992 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფას და უეფას წევრი გახდა და საქართველომ მიიღო შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება. პირველი ოფიციალური თამაში ევრო 96-ის შესარჩევ ციკლში 1994 წლის სექტემბერში შედგა, სადაც ქართველი ფეხბურთელები მოლდოვასთან 1:0 დამარცხდნენ. საქართველო ამ ჯგუფში მე-3 ადგილზე გავიდა, გადაუსწრო მოლდოვას და უელსს, მაგრამ 7 ქულით ჩამორჩა მეორეადგილოსან ბულგარეთს. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 8 თამაშიდან მოიპოვა 3 გამარჯვება, 1 ფრე და ჯგუფში მესამე-მეოთხე ადგილი პოლონეთთან გაიყო, თუმცა მეტი კოეფიციენტების გამო ქართველებზე წინ პოლონელები გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ 1998 წელს საქართველოს ნაკრებს ფიფას რეიტინგში ისტორიაში ყველაზე მაღალი - 42-ე ადგილი ეკავა. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 10 თამაშიდან 1 მოგებას და 2 ფრეს მიაღწია და 5 ქულით ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა. 2002 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლში კი საქართველოს ნაკრებმა გაიმეორა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მიღწეული წარმატება და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.

რევრესის ხანა

ამის შემდეგ იწყება ნამდვილი რეგრესის ხანა - ევრო 2004-ის შესარჩევში გუნდმა ბოლო ადგილი დაიკავა. თუმცა, ამ ციკლში ქართველებმა ისტორიაში ერთ-ერთი ხმაურიანი გამარჯვება იზეიმეს, დაამარცხეს რა რუსეთის ეროვნული ნაკრები ანგარიშით 1:0. შეხვედრის ერთადერთი გოლი მალხაზ ასათიანმა გაიტანა. იგივე შედეგი გამეორდა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში - ქართველებმა მხოლოდ ყაზახეთის ეროვნულ ნაკრებს აჯობეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყაზახებმა უეფა-ს წევრის სტატუსით ჩატარებულ მატჩებში პირველი ქულა სწორედ საქართველოს ნაკრებთან მოიპოვეს.

ევრო 2008-ის შესარჩევში საქართველომ ტრადიციას არ უღალატა და კვლავ მხოლოდ ერთ გუნდს, ამჯერად ფარერების ნაკრებს გადაასწრო, თუმცა საქართველოს ნაკრებმა ამ შესარჩევშიც ჩაატარა დასამახსოვრებელი მატჩები, დაამარცხა რა ფარერების ნაკრები გასვლაზე 6:0, შესარჩევი ციკლის გახსნით მატჩში და ციკლის მიწურულს 2:0 დაამარცხა იმ პერიოდში საკმაოდ ძლიერი შოტლანდიის ნაკრები, რომელმაც ამ წაგებით ფაქტობრივად დაკარგა ჯგუფიდან გასვლის შანსი. ამ მატჩში გოლები ლევან მჭედლიძემ და დავით სირაძემ გაიტანეს. ამავე წელს ამხანაგურ თამაშებში ქართველებმა დაამარცხეს ურუგვაის და თურქეთის ნაკრებები. შემდეგი შესარჩევი ციკლი(მსოფლიო 2010) კი ანტირეკორდის ხანა იყო - ქართველებმა ვერ მოიგეს ვერცერთი თამაში და ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ. ამ დროს ნაკრებს ცნობილი არგენტინელი სპეციალისტი ექტორ რაულ კუპერი წვრთნიდა.

თემურ ქეცბაიას მწვრთნელობის პერიოდი

2010 წლის პირველ იანვარს ნაკრებს სათავეში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი თემურ ქეცბაია ჩაუდგა. მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა ისტორიული შედეგი აჩვენა - 2010 წელს თამაში არ წაუგია. 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრებს საბერძნეთის, ხორვატიის, ისრაელისა და ლატვიის ეროვნულ გუნდები შეხვდა. ამას მოჰყვა ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება - 1:0 ხორვატიასთან, სადაც ქართველებმა, ლევან კობიაშვილის მიერ 90-ე წუთზე გატანილი გოლით ჯგუფის ფავორიტი ხორვატია დაამარცხეს. მაგრამ მას შემდეგ ნაკრებში კრიზისი დაიწყო. საბოლოოდ, ქართველებმა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მხოლოდ მალტის ნაკრებს გაუსწრეს და ბოლოსწინა მეხუთე ადგილი დაიკავეს. 2011 წელს სანაკრებო კარიერა დაასრულეს ვეტერანებმა, ლევან კობიაშვილმა და ალექსანდრე იაშვილმა, რომლებზეც მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ განაცხადა, რომ აღარ გამოიძახებდა ნაკრების გაახალგაზრდავების გამო. 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჯვაროსნებს მეტოქეებად მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონები ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებები, ასევე ფინეთისა და ბელარუსის გუნდები შეხვდა. საქართველოს ნაკრებმა ციკლი კარგად დაიწყო, თბილისში მოუგო ბელარუსს 1:0, ხოლო 4 დღეში ესპანეთთან მინიმალური სხვაობით წაგო. მიუხედავად კარგი სტარტისა, ნაკრებმა შემდეგი მატჩები ჩააგდო, ჰელსინკიში ფინეთის ნაკრებთან შეხვედრა ფრედ 1:1 დაასრულა, ხოლო რამდენიმე დღეში ბელარუსთან სტუმრად 2:0 დამარცხდა. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა, გაასწრო რა მხოლოდ ბელარუსს ჯგუფში კვლავ ბოლოსწინა, მეოთხე ადგილი დაიკავა. ციკლის მანძილზე ქეცბაიას კონფლიქტი მოუვიდა ნაკრების მცველებთან, ზურაბ ხიზანიშვილთან და ალექსანდრე ამისულაშვილთან, რომელებმაც ქეცბაიას ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადეს. ევრო 2016-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი ოთხი მატჩიდან სამის წაგების (ირლანდია 1:2, შოტლანდია 0:1, პოლონეთი 0:4) შემდგომ ქეცბაია მწვრთნელის პოსტიდან გადადგა. მის ნაცვლად მთავარ მწვრთნელის პოსტი კახაბერ ცხადაძემ დაიკავა, რომელსაც პოსტი 1 წელი ეკავა და 2016 წლის დასაწყისში თანამდებობა დაატოვებინეს სახელფასო სკანდალის შემდეგ. მის შემცვლელად სლოვაკი ვლადიმერ ვაისი დაინიშნა.

2020 წლამდე ეროვნულ ნაკრებს ვლადიმირ ვაისი ხელმძღვანელობდა. მის შემცვლელად, დროებით მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად კი ახალგაზრდა სპეციალისტი რამაზ სვანაძე დაინიშნა, რომელიც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ძალიან ნიჭიერი მარჯვენა მცველი და კაპიტანი იყო, რომელსაც კარიერას გაგრძელების საშუალება ტრავმამ არ მისცა. რამაზ სვანაძე ცნობილი საფეხბურთო ოჯახიდანაა, 1981 წლის ოქროს თაობის თბილისის „დინამოს“ მცველის, ზაურ სვანაძის ძმისშვილია, მამამისი, მამუკა სვანაძე ქუთაისის „ტორპედოს“ მოთამაშე გახლდათ. 2021 წლის 15 თებერვლიდან კი საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს, ფრანგი სპეციალისტი - ვილი სანიოლი ხელმძღვანელობს. იგი საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი (2006) და კონფედერაციის თასის ორგზის გამარჯვებული გახდა (2001, 2003). ვილი სანიოლმა მიუნხენის ბაიერნის შემადგენლობაში უეფას ჩემპიონთა ლიგა (2001) და გერმანიის ჩემპიონის ტიტული ხუთჯერ (2001, 2003, 2005, 2006, 2008) მოიგო. ფრანგი სპეციალისტი 2011-2013 წლებში საფრანგეთის ნაკრების ტექნიკური დირექტორის პოსტს იკავებდა. 2013-2014 წლებში საფრანგეთის 21-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. ვილი სანიოლმა მწვრთნელის რანგში საკლუბო კარიერა დაიწყო და 2014-16 წლებში ფრანგულ ბორდოს ხელმძღვანელობდა. ვილი სანიოლის დებიუტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2021 წლის 25 მარტს შედგა. 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ტურში საქართველოს ნაკრები სტუმრად შვედეთს დაუპირისპირდა.

რა სიტუაციაა დღეს?

მრავალწლიანი პაუზის და მოლოდინის შემდეგ, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი-ოფის ფინალურ შეხვედრაში, ჩვენმა გუნდმა საბერძნეთის ნაკრები პენალტების სერიაში დაამარცხა. დაძაბული მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო გატანილი გოლების გარეშე, 0:0 დასრულდა. 11-მეტრიანების სერიაში საქართველოს ნაკრებმა 4:2 მოიგო. პენალტები ზუსტად გიორგი ქოჩორაშვილმა, ზურიკო დავითაშვილმა, ლაშა დვალმა და ნიკა კვეკვესკირმა შეასრულეს. გიორგი მამარდაშვილმა კი, მეტოქის პირველი 11-მეტრიანი მოიგერია.

ემოციები და შეფასებები

მატჩის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა გამარჯვება რესპუბლიკის მოედანზე გულშემატკივრებთან ერთად აღნიშნა. ღონისძიების მსვლელობისას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საქართველოს საფეხბურთო ნაკრების წევრები ღირსების ორდენზე წარადგინეს. **„დღეს უბედნიერესი დღეა. ეს ის ბედნიერებაა, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს. ეს ბიჭები გმირები არიან, ისინი წარდგენილები იქნებიან ღირსების ორდენზე, თითოეული მათგანი. ყველას მიმართ დიდი სიყვარული მინდა გამოვხატო“,** - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„გავედით ევროპის ჩემპიონატზე, ჩვენ დავწერეთ ისტორია. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივრებს. არა მარტო დღეს, არამედ მთელი წელიწად-ნახევარი გვერდში გვიდგანან და გვამხნევებენ რაც შეუძლიათ. მათ დიდი დამსახურებაა, რომ დღეს აქ ვართ და მიხარია მათთვის, რომ ისინი გავაბედნიერეთ, გავედით ევროპის ჩემპიონატზე და ოცნება ავიხდინეთ“ - განაცხადა მედიასთან საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარემ, **გიორგი მამარდაშვილმა.**

მედიასთან კომენტარი გააკეთა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა, **ხვიჩა კვარაცხელიამაც.** ხვიჩა კვარაცხელიას თქმით, საქართველოს ნაკრების გამარჯვება ქართველი გულშემატკივრების დამსახურებაცაა. **„უბედნიერესები ვართ, ასეთი ემოცია არასდროს არ მქონია ცხოვრებაში. მადლობა ქართველ გულშემატკივარს. ბევრ სტადიონზე მაქვს ნათამაშები, მაგრამ 120 წუთი ასეთი გულშემატკივრობა, ასეთი რამე არსად არ მინახავს. თქვენ იყავით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ გავიმარჯვეთ“,** - აღნიშნა მან.

გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატი 14 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით გერმანიაში გაიმართება. საქართველოს ნაკრები F ჯგუფში პორტუგალიის, თურქეთის და ჩეხეთის ნაკრებებთან ერთად იასპარეზებს. გაზეთი „შირაქი“ წარმატებას უსურვებს ეროვნულ ნაკრებს. გვჯერა, რომ ერთიანობით ყველაფერი შესაძლებელია. წინ მომავალი გამარჯვებისკენ!

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

„უმაღლეს განათლებას განსხვავებული სტანდარტის დანერგვა და ინოვაციები სჭირდება“...

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი კახეთის რეგიონში ძველი და ერთადერთი სასწავლო დაწესებულებაა. თავისი მრავალწლიანი არსებობის მანძილზე უნივესიტეტმა მრავალი პროფესიონალი მოამზადა. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გარკვეული დროის მანძილზე პედაგოგიური პროფილი ჰქონდა. ათეული წლებია, მისი პროფილი გაფართოვდა და სახელთან ერთად მნიშვნელობაც შეიცვალა. როგორ უმკლავდება უნივერსიტეტი ახალ გამოწვევებს და რა სიახლეებს სთავაზობს აბიტურიენტებსა და სტუდენტებს, ამის შესახებ უნივერსიტეტის რექტორი **შალვა ჭკადუა** საუბრობს.



— ბატონო შალვა, მოკლედ რომ გავაცნოთ მკითხველს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რა იქნება თქვენი პირველი სათქმელი?

— ჩვენი უპირველესი სათქმელი არის ის, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონში ერთადერთი უმაღლესი დაწესებულებაა და ახალგაზრდობის განათლების საქმეს თითქმის საუკუნეა ემსახურება. თითქმის ასი წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა ბევრი ქარტეხილი გამოიარა, მაგრამ მუდმივად ვითარდება, უმკლავდება ახალ გამოწვევას და ზრდის თაობებს. ალბათ, იშვიათი ოჯახია კახეთში, რომლის ერთი წევრი მაინც თელავის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული არ იყოს. მინდა გითხრათ, რომ კახეთის რეგიონის შრომით ბაზარზე უნივერსიტეტის მომზადებულ სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქცია არ აქვს. ის, როგორც განათლების ერთადერთი კერა, რეგიონის სოციალურ-კულტურულ განვითარებაშიც დიდ როლს თამაშობს.

— ამ ისტორიულ ეტაპზე, საქართველო განვითარების სრულიად ახალ გზას დაადგა. ბუნებრივია, განათლების სისტემას და მით უფრო, უმაღლეს განათლებას, განსხვავებული სტანდარტის დანერგვა და ინოვაციები სჭირდება. როგორ შეხვდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ მნიშვნელოვან გამოწვევას?

— ცხადია, თქვენ საქართველოს ევროპულ მისწრაფებაზე მესაუბრებით. გეთანხმებით, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსმა, მთლიანად ქვეყანას და ცხადია, განათლების სისტემასაც ახალი მოთხოვნები წაუყენა. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, რომ ინტერნაციონალიზაციის, ევროპულ სტანდართთან დაახლოების პროცესი ჩვენ წლებია დაწყებული გვაქვს, ამიტომაც ვართ ავტორიზებული, ამდენი საინტერესო სპეციალობების მქონე უმაღლესი სასწავლებელი. არ იფიქროთ, რომ მოპოვებულით დავკმაყოფილდებით, მუდმივი განვითარების, ძიების, კვლევის პროცესი მიდის. ჩვენი აკადემიური პერსონალი მუშაობს ახალი სპეციალობების დანერგვაზე, მუდმივად ვცდილობთ აბიტურიენტის ინტერესს და მოთხოვნას მოვერგოთ. ეს არამხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ იმ ადამიანების წარმატებაცაა, ვინც ჩვენ ნდობას გვიცხადებს და ვეიმედებით.

— სწორედ ევროპასთან ასოცირების ფონზე, რას სთავაზობს უნივერსიტეტი უცხოეთში სწავლის გაგრძელების მსურველ აბიტურიენტებს?

— დღევანდელი მდგომარეობით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს პარტნიორობას უწევს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 20-ზე მეტი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი. სტუდენტების მთელი ნაკადი მოძრაობს ევროპისკენ, სარგებლობს გაცვლითი პროგრამებით, იძენს ახალ ცოდნას. ამ დროისთვისაც სტუდენტები ნასულები არიან, იტალიაში, ჩეხეთში და ესპანეთში. შესარჩევი კონკურსები ახლაც მიმდინარეობს და ამ სიკეთით, კიდევ უამრავი სტუდენტი ისარგებლებს. ევროპის მიმართულებით, არამხოლოდ გაცვლითი პროგრამებით, არამედ ერასმუს+-ის დაფინანსებული პროექტებითაც ვთანამშრომლობთ. მუდმივად მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის გაცვლა, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში იმაღლებენ კვალიფიკაციას, ჩართულები არიან ახალ კვლევებში. ჩვენთანაც ხშირად ჩამოდიან უცხოელი პარტნიორები, პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ატარებენ ლექციებს, ტრენინგებს. მოკლედ, ინტეგრაცია ევროპისკენ, შესაძლოა ჩვენ ბევრად უფრო ადრე დავიწყეთ, რადგან ერასმუს+-ის დაფინანსებული პროექტების რაოდენობით, მეოთხე ადგილზე ვართ, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ევროპული პროექტების გარდა, ძალიან ნაყოფიერი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან და ეს თანამშრომლობა, სულ უფრო აქტიური ხდება. აღარ ჩამოვთვლი კონტაქტებს საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებთან და თავად ელჩებთან, რომლებიც ჩვენი ხშირი სტუმრები არიან. საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ფონდები თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს უფინანსებენ საინტერესო პროექტებსა და ინოვაციებს, მაგალითად, თანამშრომლობა გვაქვს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან.

— რამდენად საინტერესო და მოთხოვნადია სპეციალობები, რომლებსაც თქვენ სთავაზობთ აბიტურიენტს?

— ჩვენთვის პრიორიტეტული აგარარული მიმართულებაა და არის სპეციალობები, რომლებსაც სახელმწიფო სრულად აფინანსებს. აგრარული მიმართულება წარმატებით მუშაობს და ჩვენმა მაგისტრანტებმა უნივერსიტეტის წარმოებული ღვინის ჩამოსხმაც კი შეძლეს. სრული სახელმწიფო დაფინანსება აქვს რამდენიმე პროგრამას ჰუმანიტარული მიმართულებითაც. ძალიან აქტიურია ტურიზმის სპეციალობაც და იცით, რომ მთელი მსოფლიო ტურიზმით არის დაინტერესებული. ვფიქრობ, რომ ამ პროფესიას დიდი მომავალი აქვს. არ შემიძლია არ ვახსენო სამართლის სპეციალობა, რომელიც ფასიანია, მაგრამ არის ძალიან მოთხოვნადი. ეს მიმართულება ყოველდღიურად ძლიერდება, იხვეწება და სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელებაში ერთვება. სულ რამდენიმე დღის წინ, უნივერსიტეტს ბრიტანელი ექსპერტი, იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის წარმომადგენელი, იურიდიულ წრეებში ძალიან ცნობილი, რიჩარდ გრაიმსი სტუმრობდა. ორი დღის განმავლობაში, სტუდენტებმა სრულიად ახალი ცოდნა და გამოცდილება შეიძინეს. შემდგომში ისინი, თავად შეძლებენ მსგავსი ვორქშოფებით, სამართლებრივი განათლება საზოგადოების ფართო ფენებს გადასცენ. ეს არის ძალიან მცირე ჩამონათვალი, იმისა, რამდენ აქტივობაში არიან ჩართულები სტუდენტები. ფაქტიურად, ყოველდღიური განვითარების, ზრდის, ცოდნის შეძენის პროცესში არიან. არცერთი დღე არ გადის, საინტერესო შეხვედრის, თუ სხვადასხვა სფეროში ცნობილ სპეციალისტთან გაცნობის გარეშე.

— იზრდება თუ არა, სტუდენტების რაოდენობა და როგორია სტუდენტური ცხოვრება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

— ძალიან მიხარია იმის დადასტურება, რომ წლევანდელი სასწავლო წელი, სტუდენტების ბევრად გაზრდილი რაოდენობით დავიწყეთ. მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. რამდენად აქტიურია სტუდენტური ცხოვრება, თავად სტუდენტები უკეთ მოყვებიან, მაგრამ მაინც მინდა გითხრათ, რომ სწავლის, გართობის, დასვენების ყველა შესაძლებლობა აქვთ. სტუდენტები თავად ქმნიან კლუბებს, ატარებენ კულტურულ ღონისძიებებს, იწვევენ სტუმრებს, ატარებენ კონფერენციებს, ერთვებიან პროექტებში, მუდმივად ხვდებიან დამსაქმებლებს და აღწევენ წარმატებებს. მოკლედ, ნამდვილი სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობენ.

მინდა ვთქვა, რომ წარჩინებული სწავლისათვის უდიდესი სტიმული გახდა სტიპენდიების გაორმაგება. ამან გაზარდა დაინტერესება სხვადასხვა აქტივობებში ჩართვისთვისაც. ძალიან დიდი შეღავათი იყო სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის დავალიანების ჩამოწერაც. ვერ გეტყვით, რომ ყველამ, მაგრამ ძალიან ბევრმა გააგრძელა სწავლა და მჯერა, რომ სრული კურსის დასრულებას წარმატებით შეძლებს. სტუდენტი და მისი სწავლისა და პიროვნული განვითარებისათვის კომპორტული გარემოს შექმნა, ჩვენი უპირველესი საზრუნავია. ამ მიზნის სამსახურში განვაახლეთ ინფერსტრუქტურა, ინვენტარი, ლაბორატორიები, ახალი სასწავლო კორპუსები. მე დიდი იმედი მაქვს, რომ წელს ბევრად მეტი აბიტურიენტი და შესაბამისად, უფრო მეტი სტუდენტი შემოაღებს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარს.

ჟურნალისტთა კლუბის ახალი პროექტი

დედოფლისწყაროს №1 საჯაროსკოლის „ჟურნალისტთა კლუბის“ ხელმძღვანელი, ლია ქადაგიძე „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ მოხალისეობრივი ინიციატივების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის ავტორია.

სკოლაში უფროსკლასელების მონაწილეობით ჟურნალისტთა კლუბი „ახალი თაობა“ უკვე მერამდენე წელია მოქმედებს და სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს. გასულ წელს ისინი გაზეთ „შირაქის“ რედაქციასაც სტუმრობდნენ და სამომავლო თანამშრომლობის გზებიც დასახეს.

პროექტის - „ერთად ევროპული მომავლისკენ“ - მიზანია, დედოფლისწყაროში არადომინანტი ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების, ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერა და ტოლერანტობის კომპეტენციის განვითარებით

თემში მოხალისეების პრაქტიკის გაძლიერება.

ჟურნალისტთა კლუბი „ახალი თაობა“, სკოლის დირექცია და თვითმმართველობა, ასევე უცხო ენის (ინგლისური) კლუბის ბავშვები აქტიურად იქნებიან ჩართულები აღნიშნული პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.

პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

დღეს პირველი აპრილია...

დღეს პირველი აპრილია, შესაბამისად, მოტყუებაც ადვილია. როგორც მარკ ტვენი ამბობდა, „დღეს ის დღეა, როცა ყველას გვახსენდება - როგორები ვართ სინამდვილეში, დანარჩენი 364 დღის მანძილზე“.

პირველ აპრილს ახლობლების, მეგობრების, ან მთელი სამყაროს მოტყუების ტრადიცია ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. მისი წარმოშობის ადგილი და დრო კი ხშირი კამათის მიუხედავად, ზუსტად მაინც არავინ იცის. ზოგადად, „სულელების დღე“, ბევრ ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული. სავარაუდოდ, თანამედროვე პირველ აპრილს საფუძვლად ძველი ტრადიციული ფესტივალები დაედო, რომელიც ძველებურ ახალ წელს, გაზაფხულის ბუნიობისას იმართებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი აპრილი დიდ ბრიტანეთში უძველესი დროიდან დღესასწაულად აღინიშნება, მე-18 საუკუნემდე ამ დღეს ოინების მოწყობის ტრადიცია არ არსებობდა. შოტლანდიაში კი იგივე დროს, მსგავს ტრადიციას გუგულებზე ნადირობას უწოდებდნენ, მახეში გაბმულებს კი - აპრილის გუგულებს.

სულელების დღის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიშნები ჯეფრი ჩოსერის მოთხრობა „მონაზვნის მღვდლის ამბავშია“ ნაპოვნი, სადაც ნახსენებია ორი გაბითურებული, რომლებიც „მარტის დადგომიდან ოცდაათი და კიდევ ორი დღის შემდეგ“ გააბეს მახეში.

ევროპაში პირველი აპრილის ტრადიცია, სავარაუდოდ, საფრანგეთიდან გავრცელდა. 1508 და 1539 წლების სხვადასხვა ფრანგული და დანიური წყაროები ადასტურებენ, რომ სულელების დღეს გაშაყირების ტრადიცია სწორედ პირველ აპრილს იყო დამკვიდრებული. საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც ახალი წლის პირველ იანვარს აღნიშვნა ოფიციალურად დააკანონა. ჩარლზ IX-მ ეს ბრძანება ჯერ კიდევ 1564 წელს გასცა, გრიგორიანულ კალენდარზე გადასვლამდე რამდენიმე წლით ადრე. ასე, რომ ახალი წელიწადის დადგომის აღნიშვნა და საჩუქრების მომზადება უკვე პირველი იანვრის წესად გადაიქცა, რაც მანამდე აპრილის დასაწყისთან ასოცირდებოდა. თუმცა, არსებობდნენ ისეთებიც, ვისაც არ მოსწონდათ ცვლილება და არ ეგუებოდნენ ახალი წლის თარიღის გადატანას. ამიტომ, დანარჩენი მოსახლეობა ამ ადამიანებს პირველ აპრილს „ყალბ“ საჩუქრებსა და სხვა გასაშაყირებელ ნივთებს უგზავნიდა.

საფრანგეთში, თავის მხრივ, გაშაყირებულ ადამიანს poisson d’avril-ს უწოდებენ, რაც „აპრილის თევზს“ ნიშნავს. ეს სახელი ალბათ იმით აიხსნება, რომ მზე, თევზის ზოდიაქოს ნიშნის ეტლს, სწორედ აპრილის დასაწყისში ტოვებს. ტრადიციულად, ფრანგები ამ დღეს ნაცნობ-მეგობრებს მკვდარ თევზებს უდებდნენ სკამზე; დღეს კი ნამდვილი თევზი ქაღალდისგან გამოჭრილმა თევზის ფორმებმა შეცვალა, რომლებსაც ბავშვები მეგობრებს ჩუმად ზურგზე აკრავენ ხოლმე.

ხშირია შემთხვევები, როდესაც პირველ აპრილს მომხდარ რეალურ სიახლეებს ხალხი არ იჯერებს. არცაა გასაკვირი - ამ დღეს მასმედიას ნაკლებად დაეჯერება. თუმცა, უბედურებამ პირველი აპრილი არ იცის - ამ დღეს ბევრი ტრაგიკული შემთხვევაც მომხდარა. 1946 წლის 1 აპრილს ჰავაის კუნძულებზე მომხდარმა მიწისძვრამ და ცუნამმა 165 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათი უმრავლესობა კი მხოლოდ იმიტომ დაიღუპა, რომ რადიოგამოშვებებში მოსმენილი გაფრთხილებები საპირველაპრილო ხუმრობა ეგონათ და არ დაემორჩილნენ.

2005 წელს კომიკოს მიტჩ ჰედბერგის გარდაცვალება ასევე ხუმრობად ჩათვალეს.

თუმცა, გარდა ტრაგიკული სიახლეებისა, ამ დღეს სხვა ცნობებიც ვრცელდებოდა, რომლებიც ასევე არავის სჯეროდა. მაგალითად, 2004 წელს ჩაშვებული Gmail-ის სერვისი თავიდან ყველას ხუმრობა ეგონა, თუმცა სიმართლე აღმოჩნდა. ასევე არ დაიჯერეს 2003 წელს გამოცხადებული ორი დიდი კომპანიის - Square-ისა და Enix-ის გაერთიანებაც.

მართლმადიდებლური ეკლესია კი პირველ აპრილს და ტყუილის დღეს, ღმერთის უარყოფის და გმობის დღეს უწოდებს. „როგორც მოგეხსენებათ, გაზაფხული და, განსაკუთრებით აპრილის თვე, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულის დროა. საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანთა ეს უნათლესი დღესასწაულთა დღესასწაული, რომელიც გარდამავალია, ანუ მოძრავია, უმეტესწილად სწორედ აპრილის თვეზე მოდიოდა. არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე სწორედ პირველ აპრილს აღდგა მკვდრეთით. ისიც ყველამ კარგად ვიცით, თუ რა საზიზღარი ტყუილი მოიგონეს მაშინ უფლის ჯვარმცმელმა და უარმყოფელმა ფარისევლებმა - იესო ნაზარეველის სხეული ღამით ფარულად მოიპარეს მისმა მოწაფეებმა და ახლა გაიძახიან მკვდრეთით აღდგაო! - აი, სწორედ ამ ყოვლადმკრეხელურმა სიცრუემ დაუდო დასაბამი საპირველაპრილო ტყუილებს, რადგან ვინც ეს ჩვეულება მოიგონა და დაამკვიდრა, მისთვის ქრისტეს აღდგომაც ტყუილია, ღმერთის ამქვეყნად ხორციელი შობაც და მისი ყოვლადმხსნელი საზოგადო მსახურებაც! ამიტომ ქრისტეს მოწინააღმდეგენი აღდგომის წმიდა თვესაც - აპრილსაც, მისი პირველივე დღის საგანგებო გამასხარავებითა და აბუჩად აგდებით შეურაცხყოფენ და დააკნინებენ ტყუილის - ღმერთისთვის ამ უსაძაგლესი მოვლენის გავრცელებით!“- წერდა „ქართული გაზეთი“ 1997 წელს.

დღეს პირველი აპრილია...

ამ დღეს მოტყუება დაშვებულია და ადვილია. რა, ვითომ როცა დაშვებული არაა, არ ვიტყუებით?! ვიტყუებით, თან ბევრს.

მოამზადა

ხათუნა ბენაშვილმა

ბავშვები და ანიმაცია

ანიმაცია, ასევე მულტიპლიკაცია სტატიკური გამოსახულებების დროში მონაცვლეობით შექმნილი მოძრაობის ოპტიკური ილუზიაა, იგი ზღაპრის თანამედროვე, შეუზღუდავი ვერსიაა.

ბავშვები სახე-ხატებს აქცევენ ყურადღებას შინაარსის ნაცვლად, „თვალი სჭამსო“ და ის შეიძლება ბავშვის საგანმანათლებლო ფუნქციად ჩაითვალოს. თუ დავაკვირდებით, ზრდასრულ ადამიანებსაც არანაკლებ გვიყვარს ანიმაციური ფილმების ნახვა და ეს, ალბათ, იმიტომ რომ, ადამიანის ფსიქიკას ეს პროდუქტი ძალიან ესაჭიროება. ჩვენი ცნობიერის 70% არაცნობიერისგან შედგება, ხოლო ჩვენი არაცნობიერის სურვილების დაკმაყოფილებაა ანიმაცია, სადაც ჩვენი პროექციის საშუალებით განკითხვა-განსჯაც ადვილია პერსონაჟებისა, ხოლო საკუთარი თავის განკითხვა რთულია.

გრაფიკული ანიმაციის ფუძემდებლად ითვლება ფრანგი მხატვარი - კარიკატურისტი ემილ კოლი. 1908 წლის 17 აგვისტოს პარიზში პირველად აჩვენეს მისი ნახატი ფილმი „ფანტასმაგორია“, რომელშიც კოლმა ანიმაციური გადაღების გამოყენებით „გააცოცხლა“ (აამოძრავა) თავისი მოთხრობების ნახატი პერსონაჟები.

ანიმაციური ფილმი ძალიან მალე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და დიდი ადგილი დაიკავა. ალბათ, ბევრ ჩვენთაგანს ბევრი საყვარელი ანიმაციური პერსონაჟიც ჰყავს.

ქართული ანიმაცია განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მაყურებლებს დასამახსოვრებელ სიუჟეტებს სთავაზობდა, რომელთა გარკვეული ნაწილი ეროვნული მოტივების გავლენით, ლიტერატურული ნაწარმოებების, მოარული ლეგენდების, ფოლკლორისა თუ ქორეოგრაფიული ელემენტების გამოყენებითაა შექმნილი. ძველი ქართული ანიმაციური ფილმების შთამბეჭდავი და მრავალფეროვანი ბუნება სხვადასხვა ასაკის მაყურებლის დაინტერესებას დღესაც იწვევს და რაც დროს გადის, მნახველების ნოსტალგიურ მოგონებებსაც უფრო და უფრო აღვივებს. „სოფლის მაშენებლები“, „სიზმარა“, „ლომი და კატა“, „ბატი ტასიკო“ - იმ ანიმაციური ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც სხვადასხვა თაობის თავისუფალი დრო სასიამოვნო სანახაობებით შეავსო. ქართულ ანიმაციას მე-20 საუკუნის 30 წლებში დაედო საფუძველი და მისი ფუძემდებელი გახლდათ მხატვარი და რეჟისორი ლადო მუჯირი. მან პირველად 1935 წელს ქართული მხატვრული მულტიპლიკაციური ფილმი „არგონავტები“გადაიღო. ქართული მულტფილმების სიუჟეტებად იყენებდნენ ქართულ ზღაპრებს, ქართველი და უცხოელი მწერლების მოთხრობებს, საგანგებოდ ქმნიდნენ ახალ ნაწარმოებებს. ასე ცოცხლდებოდნენ ბავშვების საყვარელი ზღაპრებისა თუ მოთხრობების გმირები და უფრო მეტად საყვარელნი ხდებოდნენ თავად მულტფილმები. ისინი ბავშვებს მეგობრობას, სიკეთეს, სიყვარულს, თავდადებას ასწავლიან, უხვეწენ გემოვნებას, აჩვევენ კარგის და ცუდის გარჩევას. ყველაზე ცნობილი ქართული მულტიპლიკაციური ფილმები 60-იან წლებში შეიქმნა. „ჩხიკვთა ქორწილი“, „წუნა და წრუწუნა“, „ნახევარწინწილა“ და მრავალი სხვა, რომელსაც, ყველა თაობის წარმომადგენელი დღესაც დიდი სითბოთი იხსენებს.

ყველა თაობისათვის, დღემდე საყვარელია უოლტ დისნეის ანიმაციური ფილმები: „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“, „პინოქიო“, „ბემბი“ და სხვა. არსებობს „ნეიტრალური“ მულტფილმებიც, რომლებიც არ აზიანებს ბავშვის ფსიქოლოგიას, თუმცა არც რაიმე სასიკეთო მოაქვს. „მულტფილმი, რომელიც, ბავშვს არაფერს არ ასწავლის, სრულიად გამოუსადეგარია“.

ბოლო დროს კი აშკარად შესამჩნევი გახდა „ნეგატიური“ მულტფილმების მომრავლება, რომელიც ანგრევს ბავშვის ფსიქიკას და ძალადობისაკენ უბიძგებს. მულტფილმში ჩადებული უნდა იყოს სიბრძნე, ღირებულებები და არა აგრესია, ძალადობა და შურისძიება. ზღაპრის საშუალებით ბავშვის ქცევის კორექტირებაც შესაძლებელია. მას შემდეგ, რაც ბავშვი ზღაპარს ნახავს, მშობელთან თუ პედაგოგთან ერთად, მისი გარჩევა უნდა მოხდეს: როგორ იქცეოდა ესა თუ ის გმირი, რა მოეწონა ან არ მოეწონა სანახაობაში? თუ ბავშვი ნეგატიურ მულტფილმს ნახავს, შესაძლოა გავანეიტრალოთ იგი და განვიხილოთ - რა არ იყო მასში კარგი?

„ნეგატიური“ მულტფილმი, რა თქმა უნდა, ჯობია არ ვაჩვენოთ ბავშვს. მულტფილმები, რადგან ვიზუალია წინა პლანზე წამოწეული, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მოზარდობის პერიოდამდე, სანამ ბავშვი აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადავა. ბავშვისთვის პრიორიტეტი ნანახს და კონკრეტიკას აქვს. ამიტომ აუცილებელია, ბავშვს ასაკის მიხედვით შევურჩიოთ მულტფილმი, ან შემდეგ, მასთან ერთად გავარჩიოთ. მაგ: „სპაიდერმენი“, რომელიც დახტის და დახოხავს შენობებზე, უნდა ავუხსნათ, რომ ამას სიკეთისთვის აკეთებს. მშობელი უნდა დაეხმაროს ბავშვს დასკვნების გამოტანაში.

მთავარი მულტფილმის ნახვა არ არის, მთავარი მისი გარჩევა და იმ დილემის გადაჭრაა, რომელიც მასში არის. კარგ მულტფილმს ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია ბავშვისთვის: ასწავლის ზრდილობას, დამჯერობას, მოხუცების პატივისცემას, უმცროსებზე ზრუნვას, გასაჭირში მყოფის დახმარებას, სიმამაცეს, მეგობრობას, გუნდურ თამაშს შურისა და ბრაზის გარეშე.

კარგმა ანიმაციურმა ფილმმა ბავშვს შესაძლოა სპორტის ამა თუ იმ სახეობის მიმართაც გაუჩინოს ინტერესი, ასწავლოს, რომ თუ პირველ ცდაზე არ გამოუვიდა, არ დანებდეს და მანამდე სცადოს, სანამ მიზანს არ მიაღწევს.

სწორად შერჩეული ანიმაცია ბავშვს ასწავლის, რატომ არ შეიძლება დიდი სიმაღლიდან გადმოხტომა, ქუჩაზე გადასვლის წესების დარღვევა, რითია საშიში ცეცხლსა და ელექტრობასთან თამაში... გარდა ამისა, საყვარელი გმირის თავგადასავლებიდან მან შესაძლოა ისწავლოს ჭრილობის მოვლა და გადახვევა, ველურ ბუნებაში მოქცევა, კომპასის გამოყენება და დამზადებაც კი, ტივის შეკვრა, კარვის დადგმა და ბევრი სხვა რამ, რაც ცხოვრებაში გამოადგება.

ასე რომ, შევარჩიოთ მულტფილმი იმის მიხედვით, რომელი უნარების განვითარება გვსურს ჩვენი ბავშვისთვის - დავინახავთ, რა ნაყოფიერი იქნება მისი წყალობით ეკრანთან გატარებული დრო.

ვინაიდან ანიმაციური ფილმის გმირს ილუსტრატორი და სცენარისტი საზოგადოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ უარყოფით თვისებებს აშორებენ, საბოლოოდ ბავშვი ეცნობა პერსონაჟს, რომელიც, პატარ-პატარა ნაკლოვანებებისა და შეცდომების მიუხედავად, ყოველთვის სიკეთეს ირჩევს და იმარჯვებს, ეს კი ბავშვის ზნეობრივ განვითარებას, თავისთავად, სწორ მიმართულებას მისცემს.

მოამზადა

ელზა ხარაშვილმა

ამბები წინა საუკუნიდან

1946 — ზემო ქედში კოლმეურნეობამ ბაგა ბაღი გახსნა, სადაც 140 ბავშვია. მათი მშობლები კი გაუცდენლად მუშაობენ მინდვრად. ამან ხელი შეუწყო თოხნის დაჩქარებას. შერჩეულია კარგი მომვლელები, გამოყოფილია საუკეთესო ოთახები. ბავშვთა კვება კარგად არის დაყენებული. დაცულია სანიტარული ნორმები

1950 — ზემო ქედის ფოსტის მორიგე ქალი მართა გვრიტიშვილი უსულგულოდ ეკიდება თავის მოვალეობას. იშვიათი სტუმარია თავისი სამუშაო ოთახისა და მეტ დროს სხვა საქმეებს ანდომებს. ამიტომაცაა, ქედების ზონაში სატელეფონო კავშირი გაძნელებული. თუ გიპასუხათ ქალბატონმა მართამ თავაზიანად და არა კმეხით, ესეიგი სიკეთე თქვენსკენაა მომართული. ხოლო თუ ვისმეს პირად საქმეებზე ესაუბრება, რამდენიც გინდა რეკოთ, არ გიპასუხებთ. კარგი იქნება თუ კავშირგაბმულობის რაიგანყოფილება ასევე „თავაზიანად“ გაისტუმრებს ქ-ნ მართას და მის მაგიერ საქმისადმი ერთგულ ადამიანს აიყვანს.

1950 — ხშირად ირღვევა წითელწყაროქედებისა და ქედები-შირაქის სატელეფონო ხაზები. ყოველ წუთს საჭიროა ტელეფონი, მაგრამ ფოსტის გამგეს ამხანაგ პოპიაშვილს არცთუ ძალიან აწუხებს. ასეთ ხაზებს „შესაფერისი“ თანამშრომლები ჰყავს. „ტელეფონისტკების“ კარგი მუშაობით რედაქცია „აღფრთოვანებული“ იყო და მათი პორტრეტებიც კი დახატა თავის ფურცლებზე. ამასწინათ სასწრაფო დაკავშირება სჭირდებოდა ერთ ამხანაგს და იძულებული გახდა რაიონში ქვეითად წასულიყო.

1951 — ქვემო ქედის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობას აქვს საკუთარი ორგანო - კედლის გაზეთი, გასულ წლებში სამაგალითოდ მუშაობდა, მაგრამ წელს ჩამორჩა. კომკავშირი მოწინავე ახალგაზრდებისგან შედგება, წევრები აქტიურად მონაწილეობენ წარმოების საქმეში და ზაფხულში მოსავლის აღებაში. მათი კედლის გაზეთი რატომღაც სდუმს. ოთხ თვეზე მეტია, გაზეთი არ გამოსულა და გამოუმზეურებელი რჩება მათი გამოცდილებანი და სხვა. თუმცა, სოფელში საშუალო სკოლის დაარსებასთან დაკავშირებით, ქვემო ქედის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ, საკლასო ოთახებისთვის სკოლას დაუთმო სამი ოთახი, რომლის რემონტსაც ამ დღეებში დაამთავრებენ და სექტემბრისთვის მოამზადებენ.

1959 — ქედების ზონაში მრავალჯერ აღმოაჩინეს ისტორიული მნიშვნელობის ნივთები, რომლებიც, მეცნიერთა აზრით, მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის V-III საუკუნეებს. აღმოჩენებმა გაამდიდრა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. მუზეუმმა ის მოსწავლეები დაჯილდოვა, რომელთაც სოფელში ეს ნივთები შემთხვევით იპოვეს. ამას გარდა, სექტემბერში, მდინარე ალაზნიდან კილომეტრის დაშორებით, ნაქალაქარის მახლობლად აღმოაჩინეს სპილოს, სამჩლიქა ცხენის, ირმისა და მარტორქის ძვლები, რომელიც პალეოლითურ ხანას, ანუ მილიონი წლის წინა პერიოდს მიეკუთვნება. ასეთი აღმოჩენები იშვიათია საქართველოში.

1959 — საჭიროა მოსწავლეთა კოლექტიური სვლა კინოში. კლასის ხელმღვანელებს სააღმზრდელო გეგმებში შეტანილი აქვთ მოსწავლეთა კინოში სვლა, მაგრამ ხშირად შეუსრულებელი რჩება. მიზეზი ისაა, რომ საკოლმეურნეო კლუბის მშენებლობა ქვემო ქედში არ დამთავრებულა. კარგი იქნება, თუ კულტურის განყოფილება მანამდის მოძრავი კინოთი დაგვეხმარება და ჩვენება სკოლის შენობაში მოხდება.

1961 — ქვემო ქედის კოლმეურნეობამ სასოფლო საბჭოს აღმასკომს გამოუყო ოთახები და აღმასკომის შენობა გადასცა სოფლის ათსაწოლიან საავადმყოფოს, რომელიც ამ წელში უნდა გაიხსნას.

1975 — გასული წლის 11 დეკემბერს ხანძარი გაჩნდა ქვემო ქედში, ბარამაშვილის ბინაში. გამოიძახეს სახანძრო. ძალიან კარგია, რომ ქვემო ქედიდან წითელწყაროში შეტყობინების დროულად მიწვდა ტელეფონის ხაზით მოხერხდა. მაგრამ საკითხავია, რატომ არხილოსკალოს სახანძრო რაზმთან ვერ შეძლეს დაკავშირება? ისინი ხომ ბევრად ადრე მივიდოდნენ? ხომ აღარ განადგურდებოდა მთლიანად შენობა და ქონება? იგივე მოხდა წელს, 14 იანვარს, კვლავ ქვემო ქედში, ცეცხლი მეგრელიშვილის ბინას წაეკიდა. შეტყობინება კვლავ წითელწყაროში შევიდა და ის კი ვერავინ მოიფიქრა, იქვე გვერდით სოფელში, არხილოსკალოს სახანძრო ნაწილში დაერეკათ. სიახლოვის გამო არხილოსკალოს რაზმი ბევრად ოპერატიულად იმოქმედებდა. ასე კი ეს ორი ოჯახი გამწარდა. ოჯახის დაუდევრობის გარდა ეს არის კავშირგაბმულობის კვანძის მუშაკების ბრალი, რომლებიც ქვემო ქედში მსახურობენ. მთელმა ქედების ზონამ უნდა იცოდეს, რომ არხილოსკალოში არსებობს სახანძრო რაზმი, ჯერ მათ უნდა მიმართონ და თუ დამატებითი ძალებია საჭირო, წითელწყაროში შემდეგ დარეკონ,“ — წერს რედაქციას წითელწყაროს სახანძრო ნაწილის უფროსი ვ. ბექაური.

1975 — ზემო ქედში, არხილოსკალოში და ქვემო ქედში ცხოვრობენ მკლავმოუღლელი, შრომისმოყვარე, კეთილი და სპეტაკი ადამიანები. არაერთი გამარჯვება მოიპოვეს შრომის სხვადასხვა უბანზე. ეს ხალხი დილის საათებში თბილისში მგზავრობას მოკლებულნი იყვნენ, მაგრამ მოთხოვნა ხელმძღვანელობამ ყურად იღო და გამოყო ავტობუსი, რომელიც საღამოს მატარებელს სადგურში ხვდებოდა, ხალხი ქედში მიჰყავდა, დილით კი მგზავრები მატარებელზე ამოჰყავდა. მოსახლეობა კმაყოფილი იყო, გაუიოლდათ გადაადგილება. იკლო სამუშაო დღეების გაცდენამაც, მაგრამ სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ახლა ავტობუსი მხოლოდ საღამოს მოდის. მგზავრები ქედში ჩაჰყავს და მაშინვე უკან ბრუნდება. დილით კი მგზავრები ავტობუსს ამაოდ ელიან. იმედია ზემდგომები ქედებში მცხოვრები 15 000 ადამიანის სასარგებლოდ გადაწყვეტენ საკითხს.

გაზეთი „ახალი შირაქი“ (სტილი დაცულია)

მოამზადა ილია მარტყოფლიშვილმა

ფრენბურთელები ფინალში არიან

დედოფლისწყაროს ფრენბურთის გუნდი **Eastside** ფლეი ოფის ფინალში მოხვდა. 10 აპრილს დედოფლისწყაროელ ფრენბურთელებს მნიშვნელოვანი შეხვედრა ელით.

ნიკოლოზ ჯინაშვილი *(გუნდის წევრი):* „წინა ჯგუფური ეტაპი მეოთხე ადგილით დავამთავრეთ და ფლეი ოფის საგზური მოვიპოვეთ და 27 მარტს ჩვენმა გუნდმა ნახევარ ფინალურ შეხვედრაში პირველი ლიგის საუკეთესო გუნდი დამაჯერებელი ანგარიშით 3-0 დავამარცხეთ და მოვიპოვეთ ფინალის საგზური. ფინალი 10 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება. მიღწეულ შედეგს ჩვენს მონდომებას და შრომას ვუკავშირებთ. რა თქმა უნდა ჩვენი ძალებით მივაღწიეთ ფინალამდე. ძალიან რთული და დაძაბული თამაშების მიუხედავად გადავლახეთ ყველა ეტაპი. ჩვენ ჩვენი მქსიმუმი დავდეთ ეს იყო და ეს, იგივეს ვაპირებთ ფინალშიც. დიდი შემართებით ვემზადებით, ფინალის მოსაგებად და უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ძალღონეს არ დავიშურებთ. კარგი იქნება, თუ სპორტის სასახლეში საგულშემატკივროდ დედოფლისწყაროელები ფინალში გაგვამხნევებენ და გვიქომაგებენ. დავუპირისპირდებით თბილისის გუნდს „თორი“. ფინალში გასვლა ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან ეს იმის მტკიცებულებაა, რომ ჩვენი შრომა შედეგიანია. ფინალის მოგება საშუალებას მოგვცემს გადავიდეთ უმაღლეს ლიგაში. ფინალის მოგების შემდეგ ჩვენ მოგვიწევს თამაში უმაღლესი ლიგის ბოლო ადგილოსან გუნდთან და შემდეგ გადაწყდება ვიასპარეზებთ თუ არა უმაღლეს ლიგაში. უმაღლესი ლიგის ბოლო ადგილოსანს თუ მოვუგებთ, ის გუნდი გამოეთიშება და ჩვენ ვითამაშებთ მათ ნაცვლად დანარჩენ საუკეთესო 8 გუნდთან ერთად. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არ დავაღალატოთ ერთმანეთი და გულშემატკივრები“.

ცნობისთვის, დედოფლისწყაროს გუნდი უკვე მეორე სეზონია რაც შეიქმნა და ასპარეზობს პირველ ლიგაზე. წინა სეზონში ისინი ფინალში დამარცხდნენ და მეორე ადგილით დაასრულეს ჩემპიონატი.

შეხვედრები თავდაცვის აკადემიის სტუდენტებთან და მესაზღვრესთან

ქ. დედოფლისწყაროს №2 სკოლას ეროვნული თავდაცვის აკადემიის მეორე კურსის სტუდენტები სტუმრობდნენ, რომელთაც მოსწავლეებს გააცნეს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისია, რომლის შესაბამისად, თავდაცვის ძალების და ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, ეთიკური, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსი იქნება მომზადებული.

„საამაყოა ჩვენთვის რომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული **გიგი არაბული**, თავის კურსელებთან ერთად წარსდგა სკოლის მოსწავლეების წინაშე და უამრავი რჩევა-დარიგება მისცა მათ. შეხვედრამ კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა და მოზარდები საკმაოდ აქტიურობდნენ,“ - აცხადებენ სკოლაში.

გარდა ამისა, მესაზღვრის დღესთან დაკავშირებით სკოლაში ამავე სკოლის კურსდამთავრებული, სასაზღვრო პოლიციის N4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) საზღვრის დაცვის განყოფილების უფროსი სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი **არსენა გიგაური** მიიწვიეს. სკოლის მოსწავლეებთან საინტერესო საუბარი შედგა. გიგაურმა ისაუბრა მის პროფესიაზე, სირთულეებზე, ქვეყნის სიყვარულზე, პასუხისმგებლობაზე, გამოწვევებზე, ბიომრავალფეროვნებასა და დედოფლისწყაროს ისტორიულ წარსულზე.

„არსენას მშობლის რანგშიც მოუწია ყოფნა, რადგან შვილებისგანაც მოისმინა, თუ რაოდენ საამაყოა, რომ იციან, მათი მამა საზღვარზეა და მოვალეობას პირნათლად ასრულებს,“ – აღნიშნავენ ქალაქის მეორე საჯარო სკოლაში.

მონაზვნად აღკვეცა ეპარქიაში

მონაზვნად აღკვეცა შესრულდა ქალაქ დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში - 28 მარტს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის დროებითმა მმართველმა თეოდორემ (ჭუაძე) მონაზვნად აღკეცა, წმინდა მიქაელ ყულოშვილის სახელობის დედათა მონასტრის მორჩილი მარინა (ინაშვილი) და ეწოდა **მონაზონი შუშანიკი**. ის დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯში, ეპარქიის რეზიდენციის ეზოში მშენებარე ტაძარში გააგრძელებს მოღვაწეობას.

„ვულოცავთ დედა შუშანიკს და ვუსურვებს სულიერ სიძლიერეს ამ მეტად საპასუხისმგებლო და რთულ გზაზე,“ – აღნიშნავენ ეპარქიაში.

გასწორება

გაზეთ „შირაქის“ 23-30 მარტის ნომერში 5-ე გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში „გაცვლითი პროგრამის კიდევ ერთი მონაწილე“ გაიპარა შეცდომა - რესპოდენტის **მარიამ მეხრიშვილის** ნაცვლად სეხნიაშვილია მითითებული.

ასევე, 16-23 მარტის №7 ნომერში, მერვე გვერდზე დაიბეჭდა სტატია „სად აღმოაჩინეს ჯვარი და ზარი?“ ბოლოს წინა აბზაცში 1953 წლის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს **1853** წელი. რედაქცია ბოდიშს იხდის უზუსტობისთვის.

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალში შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.

კარდიოლოგის, ინფექციონისტის, ექოსკოპისტის, გინეკოლოგის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

12 აპრილი – გიორგი კამკამიძე, ალერგოლოგი
12 აპრილი – მაია ბუწაშვილი, ინფექციონისტი
20 აპრილი – ბადრი ზამბახიძე, კარდიოლოგი
27 აპრილი – ექოსკოპისტი, გასტროენტეროლოგი

კონსულტაცია ფასიანია

ჩაწერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:

0 (356) 20 00 85 ან **596 39 20 00.**

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №57.





32 წლის შემდეგ მშობლიურ მიწაზე

/პირველი გვერდიდან/

გაუჩინარების დღიდან აქტიურად ვეძებ, არ დამიტოვებია სამხედრო ნაწილი, სამინისტროები თუ სახელმწიფო დაწესებულებები, მაგრამ მის კვალს ვერ მივაკვლიე. არც კომისარიატს ჰქონდა ინფორმაცია მისი დაღუპვის შესახებ. შევხვდი გოჩას ბატალიონის მეთაურს რობერტ აკოფოვს, ბატალიონის შტაბის უფროსს თენგიზ შუბლაძეს, სხვა თანამებრძოლებს. ისინი მიდასტურებდნენ, რომ ჩემი ძმა მათთან იბრძოდა. როგორც მათ მიამბეს, გაგრა რომ დაეცა, ქართველი მებრძოლები დაიქსაქსნენ. ყველა თავის შველასა და გადარჩენას დამოუკიდებლად ცდილობდა და ვინ სად გარბოდა, არ ვიცოდითო. ამიტომ ხელჩასაჭიდს ვერავინ ვერაფერს იხსენებს, როგორ გაუჩინარდა გოჩა.

ვერ წარმოიდგენთ, რა ძალისხმევის ფასად შევძელი ბატალიონის ხელმძღვანელებთან შეხვედრების ორგანიზება და მოვახერხე ამელო დოკუმენტი „საბრძოლო მოკვლევა“. ამ ბარათზე კონკრეტულად წერია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 1992 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით გოჩა პაპაჩაშვილი გაგრის 101-ე ბატალიონის რიგებში ჩაირიცხა და იბრძოდა გაგრის მისადგომებთან. 1992 წლის 2 ოქტომბერს კი ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს დაიღუპა გაგრაში და დასაფლავებული იყო იქვე. მიგვაჩნია, რომ იმ პერიოდში მისი გამბედაობა და თავგანწირვა მართლაც ღირსეული ნაბიჯი იყო. ვამაყობთ, რომ საკუთარი სურვილით გადადგა ეს გმირული ნაბიჯი“.

გიორგი ნატროშვილი *(ჟურნალ „ხორნაბუჯის“ რედაქტორი):* „სკოლიდან ვიცნობდი გოჩას და ურთიერთობა მქონდა. ჩემზე ერთი წლით დიდი იყო, მეზობელ უბნებში ვცხოვრობდით და უბნის ბიჭები ერთად ხშირად ვთამაშობდით. მშვიდი ბავშვი იყო, მისგან კარგის მეტი არაფერი მახსოვს. სკოლის დამთავრების მერე სასწავლებლად წავედი ჯერ თბილისში და შემდეგ ქუთაისში. პერიოდულად კი ჩავდიოდი სოფელში, მაგრამ რამოდენიმეჯერღა შევხვდით ერთმანეთს. ომში როგორ წავიდა, არ მინახავს, რადგან ქუთაისში ვიყავი. მერე გავიგე, რომ აფხაზეთში წავიდა. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს!“

ნიაზი ჯანაშვილი *(მეზობელი):* „ზემო მაჩხაანში კარის მეზობლები ვიყავით, ჩემს თვალწინ იზრდებოდა. წინა ღამეს ჩვენთან იყო, მტკიცედ ამბობდა, დილით ომში მივდივარ და მიმიხარიაო. მეცოდებოდა, ობლად გაზრდილმა ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღო. ბევრი ვეხვეწეთ – დედას და დას მარტო ნუ დატოვებ, წვალებით გზრდიდნენ და ნუ ანერვიულებო. არ დაიშალა, ყველა ასე თუ იფიქრებს, ვინ იბრძოლოსო? ოჯახს სოფელშიც მივუსამძიმრეთ, მაგრამ სამარშრუტო ტაქსით სოფლის მაცხოვრებლები მაინც წავიდნენ თბილისში დაკრძალვაზე და პატივი მიაგეს მის ხსოვნას“.

ნეჟნა ჩუბინიძე *(პედაგოგი):* „გოჩას V კლასიდან ვასწავლიდი, მათთან ერთად დავიწყე მასწავლებლობა, ამიტომ მათში ჩავდე მთელი ენერგია. 1979 წლიდან მათი კლასის დამრიგებელი ვიყავი და პირველი პროფესიული ნაბიჯები მათთან გადავდგი. კარგი, შეკრული კლასი იყო, თანადგომა იცოდნენ, წარმატებული ადამიანები გახდნენ. გოჩა ჭკვიანი იყო, თავს არ მოგაბეზრებდა. საოცარი გულის ადამიანი იყო. შეეძლო ომში არ წასულიყო, მაგრამ იქ ვარ საჭიროო-ასე გადაწყვიტა. ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდი სკოლაშიც და ოჯახშიც, რადგან უმამოდ იზრდებოდნენ, ვცდილობდი ყოველთვის მხარდაჭერა გამომეხატა. თანაკლასელებიც იმყოფებოდნენ პანაშვიდზე, სკოლიდანაც წავედით პედაგოგები. დიდი პატივით დაიკრძალა, ყველა მაღალი რანგის პოლიტიკოსი იყო მოსული, რიგითი მოქალაქეებიც მრავლად იყვნენ. რამხელა ამბავი და ნათელი სხივია, რომ ოკუპირებული ტერიტორიიდან მოხერხდა ნეშტის გადმოცემა. ალბათ აფხაზებიც ხვდებიან, რომ ჩვენთან ურთიერთობა აუცილებელია. იმედია, მათი განწყობები ნელ-ნელა გაუმჯობესდება. კარგია, რომ გოჩას დედა მოესწრო მის გადმოსვენებას“.

„გოჩა პაპაჩაშვილს, რომელიც კახეთიდან მარტო ჩამოვიდა, ვენახში მუშაობით დასვრილი ხელები ჰქონდა. ყველა ბრძოლაში წინ იჭრებოდა და ერთხელაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაგვეკარგა.“ - ვკითხულობთ აფხაზეთის ომზე ასევე მაჩხაანელი ჟურნალისტის ლია ტოკლიკიშვილის მიერ გამოცემულ დოკუმენტურ წიგნში „ნიუტონას დღიური“.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 01.04		სამშაბათი 02.04		ოთხშაბათი 03.04		ხუთშაბათი 04.05		პარასკევი 05.04		შაბათი 06.04		კვირა 07.04	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	15°	5°	16°	6°	18°	6°	18°	7°	17°	7°	17°	7°	16°	6°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი